ბათუმის საქალაქო სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ბათუმი 13 ნოემბერი, 2013 წ.

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა - ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - **დავით მამისეიშვილი,**

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ხვიჩა კიკილაშვილი** - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრები :

ეკატერინე ჯინჭველაშვილი - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

ვიოლეტა ფორჩხიძე - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

ადამ მახარაძე - დამოუკიდებელი სპეციალისტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

თეონა ჭუმბურიძე - დამოუკიდებელი სპეციალისტი, ფიზიკური პირი, ადვოკატი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ორი საკითხი :

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარება.
2. კონკურსის ჩატარების პროცედურების განსაზღვრა.

1. კომისიის წევრებმა მოისმინეს დავით მამისეიშვილის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კონკურსს ექვემდებარება შემდეგი საშტატო თანამდებობები:

ბათუმის საქალაქო სასამართლოში:

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია
1	**საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება**	
	სპეციალისტი (სამეურნეო საკითხებში)	1
2	**მანდატურის სამსახური**	
	მანდატური	1

2. კომისიის წევრებმა მოისმინეს დავით მამისეიშვილის ინფორმაცია, კონკურსის ჩატარების პროცედურების თაობაზე, რომლის თანახმადაც სასურველია:

- კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;

- კონკურსში მონაწილოება მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

- კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

- საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge)მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 14 ნოემბერს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 27 ნოემბერი.

- ბათუმის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ განიხილა - ბათუმის საქალაქო სასამართლოში კონკურსის გამოცხადების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამოცხადდეს კონკურსი აპარატის მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე;
2. კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;
3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან;
4. კონკურსში მონაწილოება მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
5. კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
6. საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge)მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 14 ნოემბერს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 27 ნოემბერი.

კომისიის თავმჯდომარე

დავით მამისეიშვილი -

თავმჯდომარის მოადგილე

ხვიჩა კიკილაშვილი -

კომისიის წევრი

ეკატერინე ჯინჭველაშვილი -

კომისიის წევრი

ვიოლეტა ფორჩხიძე -

კომისიის წევრი

ადამ მახარაძე -

კომისიის წევრი

თეონა ჭუმბურიძე -